

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი

16 ოქტომბერი 2014 წელი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 05-01/07

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
„სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესში“
ცვლილებების შეტანის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეტანილი იქნას ცვლილებები „ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესში“, კერძოდ:

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი დაკონკრეტდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით „სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსს აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“

ბ) მე-2 მუხლის მესამე პუნქტში ნაცვლად „განათლების სამივე საფეხურისა“ ჩაიწეროს „განათლების ორივე საფეხური“.

გ) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს დაემატოს „გამონაკლის შემთხვევაში დისციპლინების 1/4 -ში აქვს შეფასება 81 ქულა და მეტი.“

დ) ცალკე მე-2 მუხლის მე-4 პუნქტად ჩამოყალიბდეს თეორიული მიმართულების სტუდენტების მიმართ მოთხოვნა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

4. თეორიული მიმართულებით:

ა. სახელობითი სტიპენდიის კანდიდატს კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დისციპლინაში აქვს 91 და მეტი ქულა, ან, გამონაკლის შემთხვევაში, დისციპლინების 1/4 -ში აქვს შეფასება 81 და მეტი ქულა.

ბ. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა. შ. მონაწილე და აქვს მიღწევები.

ე) ამოღებულია პუნქტები რომელიც ეხებოდა გოგი დოლიძის სახელობის სტიპენდიას.

ვ) მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის „ე“- ქვეპუნქტში შევიდეს ჩვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ სტუდენტის აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი სასწავლო ბარათის ასლი ფაკულტეტის დეკანის მიერ დამოწმებული“

ზ) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს დაემატოს მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში შესული ცვლილება „გამონაკლის შემთხვევაში დისციპლინების 1/4 -ში აქვს შეფასება 81 ქულა და მეტი.“

თ) მთლიანად იცვლება მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

4. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცემა რექტორის ინდივიდ-უალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის შესახებ, რომლის საფუძველზე სტიპენდიანთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

5. სტიპენდიის გაცემაზე გამოიცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

ი) მე-7 მუხლს ემატება მე-6 პუნქტი, შემდეგი შინაარსით:

„სტიპენდია გაცემა სემესტრულად 01 სექტემბრიდან 01 მარტამდე და 01 მარტიდან 01 სექტემბრამდე.“

კ) მე-8 მუხლის პირველ პუნქტში შემიდა ჩვლილება და ჩამოყალიბდა:

„კომისიის რეკომენდაციით რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის საფუძველზე სტიპენდიანტს ვადამდე შეუწყდება სტიპენდია თუ დაარღვია წინამდებარე დებულების მე- 6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობები.“

ლ) ამოღებულია მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერი

თ. მეიშვილი